ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის
მუშათა და გლეხთა მთავრობის

კანონთა და განკარგულებათა კრებული

1932 წლის აპრილის 15	№ 9 განყოფილების პირველი	ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველობის გამოცემა.

შინაარსი:

დადგენილებანი ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსა.

მუხ. 71. ა/კსფსრ-ში სახალხო-სამეურნეო აღნუსხვის სამმართველოს მოწყობის შესახებ.

72. ა/კსფსრ წყალთა მეურნეობის მმართველობის ორგანოების დებულების დამტკიცების შესახებ.

73. ადგილობრივი ფინანსების დებულების 22, 23, 27 და 46 მუხლების შეცვლის შესახებ

74. „ხეტყის დამზადებისა და წყლით ჩამოტივტივების სამუშაოების გაძლიერების ღონისძიებათა თაობაზე“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. ივლისის 3-ის დადგენილების გაუქმების შესახებ.

დადგენილებანი ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

75. ა/კსფსრ-ის ათის წლის არსებობის აღსანიშნავად ამნისტიის გამოცემის შესახებ.

76. სარკინისგზო ტრანსპორტის რეკონსტრუქციის ხაზით საბჭოების მუშაობის გაუმჯობესების შესახებ.

77. „სასოფლო საბჭოების დამოუკიდებელ ბიუჯეტებზე გადაყვანის თაობაზე“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილების აღსრულების მსვლელობის შესახებ.

78. „ა/კსფსფ-ში საგაზაფხულო თესვის გაშლისათვის წარმოებული სასოფლო საბჭოების მუშაობის შემმოწმებელი მასსური ლაშქრობის თაობაზე“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილების აღსრულების მსვლელობის შესახებ.

79. საჩივართა ბიუროს მუშაობის ხაზით სრულიად საკავშირო ხუთდღიურის ჩატარებაში საბჭოების მონაწილეობის შესახებ.

დადგენილებანი ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

80. „სოიუზპტიცეპროდუქტ"-ის ამიერკავკასიის კონტორის ლიკვიდაციის შესახებ.
81. ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებული სასტანდარტიზაციო კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ.
82. 1932 წლის მოსავლის ბამბის კონტრაქტაციის ვადის შეცვლის შესახებ.
83. ღორის ტყავის შენახვის და ღორის ფარულად დაკვლის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

71. ა/კსფსრ-ში სახალხო-სამეურნეო აღნუსხვის სამმართველოს მოწყობის შესახებ.

„სსრკ-ის სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან ცენტრალური სახალხო-სამეურნეო აღნუსხვის სამმართველოს მოწყობის შესახებ" გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. დეკემბრის 17-ის დადგენილების თანახმად (კან. კრ. 1931 წ. 73 №-ი, მუხ. 488) და „ა/კსფსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოების, როგორც დამოუკიდებელი უწყებების, და მათი ადგილობრივი ორგანოების გაუქმებისა და მათი ფუნქციების საგეგმო კომისიებისათვის გადაცემის თაობაზე გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. მარტის 28-ის დადგენილების მე-2 მუხლის შეცვლისათვის" გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. სექტემბრის 12-ის დადგენილების შესაცვლელად (ა/კსფსრ კან. კრ. 1931 წ. მე-17 №-ი, მუხ. 201)—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის სახალხო-სამეურნეო აღნუსხვის სექტორი გადაკეთებულ იქნეს ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან არსებულ სახალხო-სამეურნეო აღნუსხვის სამმართველოდ.

2. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან არსებულ სახალხო-სამეურნეო აღნუსხვის სამმართველოს—წარუდგინოს ერთი თვის ვადაზე ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს ამ სამმართველოს დებულების პროექტი იმ ტიპური დებულების საფუძველზე, რაც გათვალისწინებულია „სსრკ-ის სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან ცენტრალური სახალხო-სამეურნეო აღნუსხვის სამმართველოს მოწყობის შესახებ" გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. დეკემბრის 17-ის დადგენილების მე-6 მუხლით.

3. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობებმა' სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს ზემოაღნიშნული დადგენილების და ამა დადგენილების შესაბამისად, უნდა გადააკეთონ სახელმწიფო საგეგმო კომისიების სახალხო-სამეურნეო აღნუსხვის ორგანოები რესპუბლიკების სახელმწიფო საგეგმო კომისიებთან არსებულ სახალხო-სამეურნეო აღნუსხვის სამმართველოებად და შეიტანონ ერთი თვის ვადაზე ამ რესპუბლიკების კანონმდებლობაში ამა დადგენილებიდან გამომდინარე ცვლილებანი.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **გ. სულთანოვი.**

1932 წ. მარტის 17.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 81 №-ში 1932 წ. აპრილის 6-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

72. ა/კსფსრ წყალთა მეურნეობის მმართველობის ორგანოების დებულების დამტკიცების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ა/კსფსრ წყალთა მეურნეობის სათანადოდ დაყენებისა და რაციონალურად და გეგმიანად განვითარების უზრუნველსაყოფად და აგრეთვე იმ ღონისძიებათა-თვის ერთიანი ხელმძღვანელობის გასაწევად, რაც საჭიროა სახალხო-სამეურნეო მოთხოვნილებათა რაც შეიძლება საუკეთესოდ დასაკმაყოფილებლად ა/კსფსრ წყალთა რესსურსების გამოყენებისა, რეგულირებისა, განაწილებისა და შესწავლის სფეროში:

ა) მოეწყოს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სისტემაში ა/კსფსრ წყალთა მეურნეობის დამოუკიდებელი სამმართველო სადირექტივო, საგეგმო-სარეგულირებლო და ოპერატიული ფუნქციებით;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) დამტკიცებულ იქნეს ქვემომდევნო დებულება ა/კსფსრ წყალთა მეურნეობის მმართველობის ორგანოების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **გ. სულთანოვი.**

1932 წ. მარტის 27.
ტფილისი.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

ა/კსფსრ წყალთა მეურნეობის მმართველობის ორგანოების შესახებ.

ა/კსფსრ წყალთა მეურნეობის მმართველობის ორგანოებია: ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველო, რომელიც იმყოფება ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სისტემაში სადირექტივო, საგეგმო-სარეგულირებლო და ოპერატიული ფუნქციებით; მისი ორგანოები ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებში არიან წყალთა მეურნეობის სამმართველოები (აზერბაიჯანის წყალთა მეურნეობის სამმართველო, საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველო და სომხეთის წყალთა მეურნეობის სამმართველო), რომელნიც იმყოფებიან რესპუბლიკანურ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატების სისტემაში საგეგმო-სარეგულირებლო და ოპერატიული ფუნქციებით.

2. ა/კ. წყალთა მეურნეობის სამმართველოს და რესპუბლიკების წყალთა მეურნეობის სამმართველოების ამოცანას შეადგენს ჰიდრო-ტეხნიკური, საძიებლო-საპროექტირებლო, სამშენებლო და სამეცნიერო-საკვლევო საქმის გაერთიანება წყალთა მეურნეობის ხაზით და ამისათვის საჭირო კადრების მომზადება.

3. ამისდაშესაბამისად ა/კ. წყალთა მეურნეობის სამმართველოს და რესპუბლიკანურ წყალთა მეურნეობის სამმართველოებს ეკისრებათ:

ა) გამოარკვიონ და აღნუსხონ ა/კსფსრ წყალთა რესსურსები—მათი ყოველმხრივი გამოყენებისა და მაქსიმალური განვითარებისა, დაცვისა და რეგულირებისათვის საჭირო ღონისძიებათა მიღების მიზნით;

ბ) შეიმუშაონ და განახორციელონ ამიერკავკასიისა და რესპუბლიკანური საპერისპექტივო, წლიური და კვარტალური გეგმები წყლის რესსურსების გამოყენებისა სამრეწველო სასოფლო მეურნეობის საჭიროებათათვის (ირრიგაცია, დაშრობა, მოწყალვა, ნაპირების გამაგრება და მთის ღვარებთან ბრძოლა);

შენიშვნა. ენერგეტიკისა, ტრანსპორტისა და ქალაქების წყლით მომარაგებისათვის წყლის რესსურსების გამოყენების გეგმების შემუშავებას და განხორციელებას აწარმოებენ სათანადო უწყებები ა/კ. წყალთა მეურნეობის სამმართველოსთან და რესპუბლიკების წყალთა მეურნეობის სამმართველოებთან მჭიდრო კავშირის დაჭერით;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი ჰიდროტეხნიკური, სამშენებლო და საძიებლო-საპროექტირებლო საქმის რაციონალიზაციისა, გაიაფებისა, გაუმჯობესებისა და მექანიზაციისათვის წყალთა მეურნეობის ხაზით;

მოაწყონ სამეცნიერო-საკვლევო საქმე წყალთა მეურნეობის ხაზით; შეიმუშაონ და გაატარონ საკანონმდებლო აქტები წყალთა მეურნეობის ხაზით; მისცენ დასკვნები ამიერკავკასიის წყალთა რესსურსების გამოყენების ყველა საკითხის გამო; მოაწყონ აღნუსხვა და შეისწავლონ წყალსამეურნეო ღონისძიებათა ეფექტიობა; მოაწყონ წყალსამეურნეო კადრების მომზადება.

4. ა/კ. წყალთა მეურნეობის სამმართველოს უშუალო ამოცანას შეადგენს:

ა) შეადგინოს ა/კსფსრ წყალთა რესსურსების გამოყენების ჯუმლობითი გეგმები საპერსპექტივო, წლიური და კვარტალური;

ბ) დაამტკიცოს რესპუბლიკანური საპერსპექტივო და აგრეთვე ოპერატიული და კვარტალური საწარმოო გეგმები წყალთა მეურნეობის ხაზით ამიერკავკასიის მთავრობის მიერ დამტკიცებული საკონტროლო ციფრების საფუძველზე;

გ) განახორციელოს პროექტირება და აგრეთვე მოაწყოს და უშუალო ხელმძღვანელობა გაუწიოს წყალსამეურნეო დიდრონი ობიექტების მშენებლობას;

შენიშვნა. პროექტირებისა და წყალსამეურნეო მშენებლობის ობიექტების დიდრონ ობიექტებისათვის მიკუთვნება მოხდება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით;

დ) განკარგოს ა/კსფსრ წყალთა მეურნეობისათვის საკავშირო და ამიერკავკასიის ბიუჯეტებით გადადებული ასსიგნები კრედიტების მთავარი განმკარგულებლის უფლებით და გაანაწილოს ეს ასსიგნები რესპუბლიკებზე დამტკიცებული გეგმების შესაბამისად;

ე) დაამტკიცოს წყალსამეურნეო მშენებლობის პროექტები, გამოკვლევათა და ძიებლობათა პროგრამები, ნაგებობათა გამართვისა და გადაკეთების პროექტები, და აგრეთვე ღონისძიებანი ცალკეულ წყალსამეურნეო ნაგებობათა ტიპებისა და სტანდარტების დადგენისათვის;

ვ) გაუწიოს ინსპექტირება და კონტროლი ყველა წყალსამეურნეო მშენებლობისა, საპროექტო-საძიებლო, სამეცნიერო-საკვლევო ორგანიზაციისა და დაწესებულების მუშაობას წყალსამეურნეო კადრების მომზადების ხაზით;

ზ) შეათანხმოს ა/კ. ჰიდრომშენისა, სატრანსპორტო და სხვა ორგანიზაციების პროექტები, რაც ეხება წყალთა მეურნეობის ინტერესებს, და წარუდგინოს ა/კსფსრ უმაღლეს ორგანოებს თავისი აზრი ამ პროექტების შესახებ;

თ) განკარგოს და გაანაწილოს უმაღლესი სასწავლებლების კადრები;

ი) მოაწყოს უცხოეთისა და საბჭოთა კონსულტაცია უაღრესი მნიშვნელობის წყალსამეურნეო სამუშაოებისათვის, არსებული წესის დაცვით;

კ) განაგოს სარესპუბლიკათაშორისო სისტემების ექსპლოატაცია;

ლ) შეადგინოს მომარაგების ჯუმლობითი გეგმები და გაანაწილოს მიღებული ფონდები რესპულიკებზე და მშენებლობის ცალკეულ ობიექტებზე.

5. ა/კ. წყალთა მეურნეობის უშუალო გამგებლობაშია:

ა) წყალთა მეურნეობის საცდელ-საკვლევო ინსტიტუტი დასაყრდენი პუნქტებით რესპუბლიკებში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) ამიერკავკასიის წყალთა ტეხნიკური საბჭო;

გ) დიდრონი და ტიპური პროექტირების ტრესტი—„ზაკვოდპროიზ"-ი.

6. რესპუბლიკანური წყალთა მეურნეობის სამმართველოები ა/კ. წყალთა მეურნეობის სამმართველოს ორგანოებია რესპუბლიკებში და საკუთარი ანხორციელებენ მის ფუნქციებს სათანადო რესპუბლიკებში:

ა) მათთან მოეწყობიან სპეციალური წყალსამეურნეო ტრესტები, რომელნიც აწარმოებენ მშენებლობას და აგრეთვე საპროექტო-საძიებლო სამუშაოებს რესპუბლიკანური წყალთა მეურნეობის სამმართველოებისათვის გადაცემული ობიექტების ხაზით, და მომარაგებას მშენებლობის მიზნით;

შენიშვნა. აზერბაიჯანის სსრ-ში, ტრესტის გარდა, მოქმედობს აგრეთვე მექანიკური მორწყვის სპეციალური სამმართველო;

ბ) რესპუბლიკანური წყალთა მეურნეობის სამმართველოები შეადგენენ, ა/კ. წყალთა მეურნეობის სამართველოს მიერ დადგენილ ვადაზე, რესპუბლიკების წყალთა რესსურსების გამოყენების საპერსპექტივო წლიურ, ოპერატიულ და კვარტალურ გეგმებს და წარუდგენენ დასამტკიცებლად ა/კ. წყალთა მეურნეობის სამმართველოს;

შენიშვნა. საპერსპექტივო წლიურ გეგმებს, ფართობთა გამოსვლის ზედმიწევნითი ვადებით, რესპუბლიკანური წყალთა მეურნეობის სამმართველოები წარუდგენენ ა/კ. წყალთა მეურნეობის სამმართველოს რესპუბლიკების მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატების მიერ დამტკიცების შემდეგ.

7. ამიერკავკასიის წყალთა მეურნეობის სამმართველოს სათავეში სდგანან ა/კ. წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროსი და ორი მისი მოადგილე:

ა) ა/კსფსრ წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროსს და მის მოადგილეთ დანიშნავს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო;

ბ) რესპუბლიკანური წყალთა მეურნეობის სამმართველოების უფროსს და მოადგილეს დანიშნავენ სათანადო სახალხო კომისართა საბჭოები ა/კ. წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროსთან შეთანხმებით;

გ) ა/კ. წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროსი იმავე დროს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისრის მოადგილეა;

დ) დიდრონი და ტიპური პროექტირების ტრესტისა, წყალთა მეურნეობის საცდელ-საკვლევო ინსტიტუტისა და აგრეთვე დიდრონ მშენებლობათა დირექტორებს დანიშნავს ა/კ. წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროსი და დაამტკიცებს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის კოლეგია;

ე) ა/კ. წყალთა მეურნეობის სამმართველოსთან არსებობს წყალთა ტეხნიკური საბჭო, რომლის თავმჯდომარეს და შედგენილობას დანიშნავს ა/კ. წყალთა მეურნეობის სამმართველოს უფროსი და დაამტკიცებს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი.

8. ა/კ. წყალთა მეურნეობის სამმართველოს ცენტრალური აპარატის სტრუქტურას და შტატს განსაზღვრავს ა/კ. წყალთა მეურნეობის სამმართველო მუშათა და გლეხთა ინსპექციასთან შეთანხმებით.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

73. ადგილობრივი ფინანსების დებულების 22, 23, 27 და 46 მუხლების შეცვლის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

„თვითდამზადებათათვის ზემდგარი ტყის საგასაცემო სასყიდლის შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. იანვრის 3-ის დადგენილებასთან დაკავშირებით:

1. ადგილობ. ფინანსების დებულების 22 მუხლს (ა/კსფსრ კან. კრ. 1926 წ. მე-8 №-ი, მუხ. 697) დაემატოს „ვ¹“ პუნქტი შემდეგი შინაარსისა:

„ვ¹“) იმ ზემდგარი ტყის მერქანის სასყიდლისა, რაც გაიცემა თვითდამზადების სახით არაძირითად დამმზადებელი ორგანიზაციისა და საწარმოსათვის და აგრეთვე მოსახლეობისათვის გაცემული ზემდგარი ტყის მერქანის სასყიდლისა“.

2. ადგილობრივი ფინანსების დებულების 23 მუხლის „დ“ პუნქტი ამოიშალოს.

3. ადგილობრივი ფინანსების დებულების 27 მუხლის „ვ“ პუნქტი (ა/კსფსრ კან. კრ. 1931 წ. მე-3 №-ი, მუხ. 29) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) სამერქანო გამოსაღები, რაც იხდევინება სამორე სასყიდლის პროცენტულ ზედნართად“.

4. ადგილობრივი ფინანსების დებულების 46 მუხლი (ა/კსფსრ კან. კრ. 1931 წ. მე-3 №-ი, მუხ. 29) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„46. სამერქანო გამოსაღები გადაეხდება ყველა იმ პირს, დაწესებულებას და საწარმოს, რომელიც ამზადებს ტყის აგარაკში მერქანს არა როგორც ძირითადი დამმზადებელი, მერქანის ნამდვილი გასაყიდი ღირებულების (სამორე სასყიდელი) ზედნართის სახით“.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **გ. სულთანოვი.**

1932 წ. მარტის 27.
ტფილისი.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

74. „ხეტყის დამზადებისა და წყლით ჩამოტივტივების სამუშაოების გაძლიერების ღონისძიებათა თაობაზე“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წლის ივლისის 3-ის დადგენილების გაუქმების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წლის ივლისის 3-ის დადგენილება „ხეტყის დამზადების და წყლით ჩამოტივტივების სამუშაოების გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ (ა/კსფსრ კან. კრ. 1930 წ. მე-13 №-ი, მუხ. 147). გაუქმებულ ქნეს.

2. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობათ—შეიტანონ თავიანთ კანონმდებლობაში ამა დადგენილებიდან გამომდინარე ცვლილებანი.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **გ. სულთანოვი.**

1932 წ. მარტის 27.
ტფილისი.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

75. ა/კსფსრ ათის წლის არსებობის აღსანიშნავად ამნისტიის გამოცემის შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ა/კსფსრ შექმნის ათი წლის თავის აღსანიშნავად ადგენს:

I.

1. ყველას, ვისაც სასამართლოს განაჩენით ან სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს ორგანოების დადგენილებით მისჯილი აქვს სოციალური დაცვის უმაღლესი ღონისძიება—დახვრეტა და ვის მიმართაც განაჩენი არ არის სისრულეში მოყვანილი,—სოციალური დაცვის აღნიშნული ღონისძიება შეეცვალოს

ათი წლის თავისუფლების აღკვეთად ქონების კონფისკაციით იმ შემთხვევაში, როცა კონფისკაცია გათვალისწინებულია ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსით იმ საზოგადოებრივ-საშიში ქმედობისათვის, რისთვისაც დამნაშავე მსჯავრდებულია.

2. ამა დადგენილების 1 მუხლის მოქმედება არა ვრცელდება იმ პოლიტიკური პარტიების და ჯგუფების აქტიურ წევრებზე, რომლებიც ცდილობენ საბჭოთა ხელისუფლების დამხობას, ძირის გამოთხრას და დასუსტებას, აგრეთვე კონტრ-რევოლიუციონურ დანაშაულთა საქმეების ორგანიზატორებსა და ხელმძღვანელებზე (სახელმწიფოებრივ დანაშაულთა დებულების 1—14 მუხლები. სსრკ-ის კანონ. კრებ. 1927 წ. მე-12 №-ი, მუხლი 123).

3. იმათ, ვისაც მისჯილი აქვს თავისუფლების აღკვეთა ერთ წელზე მეტი ვადით, შეუმცირდეს მათთვის დაწესებული სოციალური დაცვის ღონისძიება: მშრომლებს—ნახევრად, დანარჩენებს—ერთი მესამედით.

შენიშვნა. იმ შემთხვევაში, როცა მსჯავრდადებულთ უკვე შეეფარდათ წინანდელი ამნისტია, ამა მუხლში აღნიშნული შეღავათი ეფარდება სოციალური დაცვის ღონისძიების ჯერ კიდევ მოუხდელ ნაწილს.

4. ამა დადგენილების მე-3 მუხლის მოქმედება არა ვრცელდება იმ პოლიტიკური პარტიების და ჯგუფების აქტიურ წევრებზე, რომელნიც ცდილობენ საბჭოთა ხელისუფლების დამხობას, ძირის გამოთხრას ან დასუსტებას, ასევე სახელმწიფ. დანაშაულთა დებულების 1—14, 17, 22 და 24 მუხლებით (კონტრ-რევოლიუციონური ბოროტმოქმედება, ბანდიტიზმი, ხელობის სახით ყალბი ლითონის ვალიუტის დამზადება ან ასეთი ვალიუტის გასაღება, ყალბი სახელმწიფო სახაზინო ბილეთების დამზადება-გასაღება და სხვ., კვალიფიციური კონტრაბანდა—სსრკ-ის კანონთა კრებული 1927 წლის მე-12 №-ი, მუხლი 123; 1929 წლის 72 №-ი, მუხლი 687), აგრეთვე ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების სათანადო მუხლებით გათვალისწინებული შეიარაღებული ძარცვისა, თანამდებობრივი ბოროტეული გაფლანგვისა და ბოროტეული მექრთამეობისათვის მსჯავრდადებულთაგან იმათზე, რომელთაც მისჯილი აქვთ თავისუფლების აღკვეთა ხუთ წელზე მეტი ვადით, აგრეთვე რეციდივისტებზე, თუ მათ მიერ წინად ჩადენილი ქმედობის დროიდან არ გასულა ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკათა სისხლის სამართლის კოდექსებით გათვალისწინებული ვადები, რომელთა გასვლის შემდეგ ისინი მსჯავრდადებულად არ ითვლებიან.

5. ის მშრომელნი, რომელთაც ეფარდებათ ამა დადგენილების მე-3 მუხლის მოქმედება, განთავისუფლებულ იქნენ განაჩენსა ან დადგენილებასთან დაკავშირებული სოციალური დაცვის ყველა დამატებითი ღონისძიებისაგან და მათ მიერ სოციალური დაცვის ღონისძიების მოხდის შემდეგ, ისინი აღდგენილ იქნენ უფლებებში და ჩაითვალონ მსჯავრდაუდებელად. დანარჩენი მოქალაქენი განთავისუფლდნენ სოციალური დაცვის ყველა დამატებითი ღონისძიებისაგან, რაც დაკავშირებულია განაჩენსა და დადგენილებასთან, ხოლო უფლების აყრის და ნასამართლეობის ვადები მათ ნახევრად შეუმცირდეთ.

6. ის მშრომელნი, რომელთაც პირველად აქვთ მისჯილი თავისუფლების აღკვეთა ერთ წელზე არა მეტი ვადით, ხოლო დანარჩენნი, რომელთაც მისჯილი აქვთ თავისუფლების აღკვეთა 6 თვეზე არა უმეტესი ვადით, აგრეთვე იძულებითი მუშაობა და ჯარიმა 300 მანეთამდე (უკეთუ ეს ჯარიმა ჯერ არ გადაუხდევინებიათ)—განთავისუფლებულ იქნენ სოციალური დაცვის აღნიშნული ღონისძიების შემდგომი შეფარდებისაგან, ყველა დამატებითი ღონისძიებითურთ და ნასამართლეობის მოხსნით; ასევე შესწყდეს პროცესის ყოველ სტადიაში იმ საქმეთა შემდგომი წარმოება, რაც წარმოიშვა ბრალდების გამო პირველად ჩადენილი ქმედობისათვის, რომლისთვისაც ა/კსფსრ შემავალ რესპუბლიკათა სისხლის სამართლის კოდექსებით დაწესებულია ამა მუხლში აღნიშნული სოციალური დაცვის ღონისძიებანი.

შენიშვნა. არა მშრომელთ, რომელთაც მისჯილი აქვთ თავისუფლების აღკვეთა 6 თვეზე მეტი ვადით, ეფარდებათ ამა დადგენილების მე-3 მუხლში აღნიშნული შეღავათები.

7. მოეხსნას ყველა მსჯავრდადებულს მისთვის გადაწყვეტილი პირობითი მსჯავრდება.

8. ამა დადგენილების მოქმედება ვრცელდება აგრეთვე იმ სისხლის სამართლის საქმეებზე, რაც წარმოიშვა კერძო ბრალდების წესით.

9. მოიხსნას მშრომლებისაგან ყველა ადმინისტრატიული ან დისციპლინარული წესით დადებული გადასახდელი, რაც არ არის მოყვანილი სისრულეში; გარდა ამისა,—გადაუხდელი ჯარიმა 100 მანეთამდე და შეწყდეს იმ საქმეების შემდგომი წარმოება, რაც წარმოიშვა აღნიშნული ადმინისტრატიული ან დისციპლინარული წესით.

10. ამა დადგენილებაში აღნიშნული შეღავათები არ ანთავისუფლებს დამნაშავე პირთ სამართლის დარღვევით მიყენებული ზიანისა და ზარალის ანაზღაურებებისაგან, აგრეთვე უკანონოდ მონაპოვარის ჩამორთმევისაგან და უკანონოდ მოჭრილი, გატაცებული, განადგურებული ან დაზიანებული ტყის ერთჯერადი ღირებულების გადახდევინებისაგან.

II.

11. განთავისუფლებულ იქნეს ა/კსფსრ-ის ტერიტორიაზე მყოფი ნაწილების ყველა სამხედრო-მსახური მუშათა და გლეხთა წითელი არმიის სადისციპლინო წესდების თანახმად დადებული გადასახდელისაგან.

12. ის სამხედრო-მსახური და სხვა მშრომელი, რომელსაც სამხედრო ტრიბუნალის განაჩენით გადაეწყვიტა თავისუფლების აღკვეთა 6 თვემდე ან იძულებითი მუშაობა ერთ წლამდე, განთავისუფლებულ იქნეს ამ სოციალური დაცვის ღონისძიების შემდგომი შეფარდებისაგან.

13. ყველა იმ სამხედრო-მსახურს და სხვა მშრომელს, რომელსაც სამხედრო ტრიბუნალის განაჩენით გადაეწყვიტა თავისუფლების აღკვეთა 6 თვიდან 3 წლამდე, შეუმცირდეს ნახევრად მისთვის გადაწყვეტილი სოციალური დაცვის ღონისძიება.

14. ყველა ის სამხედრო-მსახური და სხვა მშრომელი, რომელზედაც ვრცელდება ამა დადგენილების 12 და 13 მუხლები, განთავისუფლებულ იქნეს განაჩენთან დაკავშირებული სოციალური დაცვის ყველა დამატებითი ღონისძიებისაგან.

15. მოსპობილ იქნეს პროცესის ყველა სტადიაში წარმოებული საქმეები იმ დანაშაულთა შესახებ, რაც პირველად ჩადენილია სამხედრო-მსახურთა და სხვა მშრომელთა მიერ, უკეთუ ეს საქმეები ექვემდებარება სამხედრო ტრიბუნალებს და უკეთუ ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების სათანადო მუხლებით სოციალური დაცვის ღონისძიებად დაწესებულია თავისუფლების აღკვეთა ექვს თვემდე ან იძულებითი მუშაობა ერთ წლამდე.

16. ამა დადგენილების II კარი არა ვრცელდება იმ სამხედრო-მსახურებზე და მშრომლებზე, რომელთაც სამხედრო ტრიბუნალების განაჩენით გადაეწყვიტათ თავისუფლების აღკვეთა სამ წელიწადზე მეტი ვადით, იმ პოლიტიკური პარტიებისა და ჯგუფების აქტიურ წევრებზე, რომლებიც ლამობენ საბჭოთა ხელისუფლების დამხობას, ძირის გამოთხრას ან დასუსტებას, ჯაშუშებზე, კონტრაბანდისტებზე, ბანდიტებზე, მექრთამეებზე, გამფლანგველებზე, სიყალბის ჩამდენებზე, ცხენის ქურდებზე, ცეცხლის წამკიდებლებზე, ქალის მიმართ ძალადობის ჩამდენებზე, რეციდივისტებზე, აგრეთვე იმ არამშრომლებზე, რომელნიც თუნდაც ისინი ჭუშათა და გლეხთა წითელი არმიის შედგენილობას არ ეკუთვნოდნენ, მსჯავრდადებულ არიან სამხედრო ტრიბუნალების მიერ ა/კსფსრ ტერიტორიაზე ჩადენილი დანაშაულისათვის.

III.

17. ამა დადგენილებაში ჩამოთვლილი ყველა შელავათი ვრცელდება იმ მოქალაქეებზე, რომლებმაც ჩაიდინეს ქმედობა ა/კსფსრ ტერიტორიაზე 1932 წლის მარტის 12-დე.

18. ამა დადგენილების განხორციელება მიენდოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს, ერთი თვის ვადაზე დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

19. ამა დადგენილების განხორციელებისათვის თვალყურის დევნება დაეკისროს ა/კსფსრ პროკურორს.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **გ. სულთანოვი.**

1932 წ. მარტის 11.
ტფილისი.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

76. სარკინისგზო ტრანსპორტის რეკონსტრუქციის ხაზით საბჭოების მუშაობის გაუმჯობესების შესახებ.

მოისმინა-რა ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების მოხსენება საბჭოთა მუშაობის და ხელმძღვანელობის მდგომარეობის შესახებ სარკინსგზო ტრანსპორტის გაუმჯობესების სფეროში, ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი აღნიშნავს,რომ გაფართოებული პასუხისმგებლობა საბჭოებისა ტრანსპორტის სოციალისტური რეკონსტრუქციისათვის მოითხოვს, რათა ხელმძღვანელობა საბჭოების ქვედა რგოლეულების მიმართ ტრანსპორტზე გადაჭრით გაუმჯობესებულ იქნეს ნამდვილი და კონკრეტული დახმარების გასაწევად გზის აპარატის ყველა რგოლეულისათვის ა/კ. რკინის გზების დირექციის ოპერატიულ განკარგულებათა საუკეთესოდ შესრულების საქმეში.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი აქცევს საბჭოებისა და მათი მასსური ორგანიზაციების (სექციები და დეპუტატთა ჯგუფები) ყურადღებას იმ გარემოებას, რომ საჭიროა გაძლიერებულ იქნეს ბრძოლა დისციპლინის განმტკიცებისა და ნამდვილი სოციალისტური შეჯიბრების და დამკვრელობის გაშლისათვის სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმების ფართო ლაშქრობისა და ყოველდღიურ პრაქტიკულ მუშაობაში ამხ. სტალინის ექვსი პირობის შთანერგვის საფუძველზე. ტრანსპორტის მუშაობისათვის საბჭოებმა პასუხი უნდა აგონ ისევე, როგორც სხვა უაღრესი მნიშვნელობის სამეურნეო-პოლიტიკური კამპანიების ხაზით მთავრობის და პარტიის მიერ გაცემული დირექტივების შესრულებისათვის. საბჭოების ის დეპუტატები, რომელნიც საქმეს კუდში მისდევენ, არ ადიდებენ თავიანთი შრომის ნაყოფიერებას, არ იბრძვიან მუშაობის თვისებისათვის, ღირსნი არ არიან ატარონ საბჭოთა დეპუტატების საპატიო წოდება.

მაინც ა/კსფსრ საბჭოების უმეტესობა აქამდე ვერ იყენებს მათ ხელთ ქონებულ ყველა შესაძლებლობას საბჭოთა ფართო აქტივის ნამდვილი ბოლშევიკური მობილიზაციისათვის და საბჭოებისა და მათი მსსური ორგანიზაციების—სექციებისა და დეპუტატთა ჯგუფების—გარშემო გაერთიანებისათვის სატრანსპორტო-საფინანსო გეგმის განხორციელების მიზნით საბრძოლველად.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი აღნიშნავს რა, რომ საბჭოების მუშაობა სარკინისგზო ტრანსპორტის გაუმჯობესების სფეროში აშკარად არადამაკმაყოფილებელია, თუმცა იგი უაღრესი მნიშვნელობის რგოლია სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა,—ადგენს:

1. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუსლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმებს, ქვემოდ ჩამოთვლილ ღონისძიებათა საფუძველზე, გარდაქმნან საბჭოების მუშაობა იმ მიმართულებით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ მაქსიმალურად ხელი შეუწყონ ბრძოლას სარკინისგზო ტრანსპორტისათვის რეალური დახმარების გაწევის მიზნით.

ა. საჭიროდ იქნეს ცნობილი ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების საორგანიზაციო გაყოფილებებთან სპეციალური ინსტრქტორების გამოყოფა ტრანსპორტის ხაზით, რომელთაც უნდა დაეკისროს საბჭოთა მუშაობის კავშირისა და ხელმძღვანელობის განხორციელება ტრანსპორტზე (სარკინისგზო, წყლის, ურელსო, საჰაერო).

ბ. საქალაქო საბჭოების სფეროში:

ა) რეორგანიზებულ იქნეს საქალაქო საბჭოების სატრანსპორტო სექციები და მათი მუშაობა გადაკეთდეს სადარგო საბრიგადო მეთოდის მიხედვით (სახმელეთო ტვირთზიდვისა, ნავთის ჩასხმისა, მგზავრთა მიმოსვლისა და სხვა მისთ. ბრიგადები);

ბ) ყველა კვანძსადგურზე და დეპოში მოეწყოს მუშაობაუნარიანი სადეპუტატო ჯგუფები და მათი მუშაობის ცენტრი გადატანილ იქნეს განყოფილებებში, საამქროებში, ბრიგადებში; ამით მიღწეულ უნდა იქნეს ტრანსპორტის ყველა მნიშვნელოვანი დარგის მოცვა;

გ) განხოციელებულ იქნეს დეპუტატთა ჯგუფების მეშვეობით ყოველდღიური მეთვალყურეობა ცისტერნებში ნავთის ჩასხმისა და გადმოსხმისათვის, ცისტერნების მუყაითად გაწმენდისათვის, სამარშრუტო მატარებლების წესიერი ფორმირებისათვის სპეციალიზაციის პრინციპის მიხედვით და დეპოებიდან ორთქლმავლების თავის დროზე გამოშვებისათვის; თანაც უნდა სწარმოებდეს ბრძოლა ცისტერნების უნაყოფოდ მოცდენის ლიკვიდაციისა და თავის დროზე გაგზავნის ადგილას დაბრუნებისათვის და სხვა მისთ.

გ. სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა და სასოფლო სსბჭოების სფეროში:

ა) რეორგანიზებულ იქნეს არსებული და იქ, სადაც არ არსებობს, მოეწყოს სატრანსპორტო სექციები იმ სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების და სასოფლო საბჭოებისა, რომელნიც მდებარეობენ ა/კ. რკინის გზების ხაზზე; მათი მუშაობა აგებულ უნდა იქნეს სადარგო საბრიგადო მეთოდის მიხედვით და თვით სექციები უნდა დაიყოს ადგილობრივი და სარკინისგზო ტრანსპორტის ჯგუფებად;

ბ) ერთი დეკადის ვადაზე გამოქვეყნებულ იქნეს რკინის გზის ხაზზე მდებარე სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტებისა და სასოფლო საბჭოების სია;

გ) თავის დროზე ვაგონებისა და საწყობების განტვირთვის და დატვირთვისათვის, საგზაო მეურნეობის გაუმჯობესებისათვის და სხვა მისთ. კონტროლის დასაწესებლად—დაარსებულ იქნეს საშუალედო სადგურებზე საბჭოების საკონტროლო საგუშაგოები;

დ) დაევალოს ა/კ. რკინის გზების ხაზზე მდებარე სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებსა და სასოფლო საბჭოებს—მოაწყონ ნავთმარშრუტების სავალ გზაზე (ბათუმი, სამტრედია, ტფილისი, ნავთლული, აქსტაფა, განჯა, ბაქო და სხვ.) საბჭოებისა და მათი პრეზიდიუმების წევრთაგან სპეციალური მეთვალყურე საგუ-

შაგოები დეპოებში, ორთქლმავლების გამოცვლის ადგილებში და სხვა პუნქტებში; ამ საგუშაგოებმა მტკიცედ უნდა შეუთანხმონ და დაუკავშირონ თავიანთი მუშაობა სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებულ ხელისშემწყობ კომისიებს.

2. ვინაიდან სრულიად არანორმალურია საბჭოთა ჯგუფების მოწყობა ადგილობრივ კომიტეტებთან და საქარხნო კომიტეტებთან (ბაქოს სასაქონლო სადგური—2, პარიზის კომუნის სახელობის დოკი—ბაქოში), წინადადება მიეცეს აზერბაიჯანის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს—მიანდოს ბაქოს საბჭოს, რათა მან ჩაატაროს საჭირო საინსტრუქტირო-განმარტებითი მუშაობა დეპუტატთა ჯგუფების როლისა და ადგილის თაობაზე საწარმოში და მოაწყოს ეს ჯგუფები; როგორც საბჭოების დამოუკიდებელი ქვედა უჯრედები.

3. წინადადება მიეცეს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებას—შეიმუშაოს და დაუგზავნოს ადგილებს ორი კვირის ვადაზე სანიმუშო დებულება დეპუტატთა ჯგუფებისათვის ტრანსპორტზე.

4. მიენდოს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებას—იქონიოს სისტემატიური მეთვალყურეობა ამა დადგენილების რეალიზაციის მსვლელობისათვის და შედეგები მოახსენოს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს არა უგვიანეს ა/წ. ივნისის 10-სა.

ამიერკავკასიის ცნტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე ფ. **მახარაძე.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **გ. სულთანოვი.**

1932 წ. მარტის 27.
ტფილისი.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

77. „სასოფლო საბჭოების დამოუკიდებელ ბიუჯეტზე გადაყვანის თაობაზე“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილების აღსრულების მსვლელობის შესახებ.

მოისმინა-რა ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის მოხსენება „სასოფლო საბჭოების დამოუკიდებელ ბიუჯეტზე გადაყვანის თაობაზე“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილების აღსრულების მსვლელობის შესახებ, ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ სასოფლო საბჭოების და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოუკიდებელ ბიუჯეტზე გადაყვანისათვის წარმოებულ მუშაობას ემჩნევა მთელი რიგი არსებითი ნაკლოვანებანი, რაც აბრკოლებს სასოფლო საბჭოების ბიუჯეტების თავის დროზე და ნამდვილად გატარების საქმეს.

აღნიშნულ ნაკლოვანებათაგან ძირითადია:

ა) შემოსავლისა და გასავლის არასაკმარისი სისრულით და გარკვევით განაწილება სარაიონო და სასოფლო ბიუჯეტებს შორის;

ბ) სასოფლო საბჭოების არასაკმარისად უზრუნველყოფა საფინანსო მომუშავეთა კადრებით;

გ) სასოფლო ბიუჯეტების შედგენისა და აღსრულების შესახები პოპულარული ლიტერატურის არქონა ადგილობრივ ენებზე;

დ) სოფლის საზოგადოებრიობის არასაკმარისი აქტივიზაცია სასოფლო ბიუჯეტების შედგენისა და აღსრულების გარშემო.

სასოფლო ბიუჯეტების ნამდვილად გატარებისა, მისი სისწორით შედგენისა და აღსრულების უზრუნველყოფისა და სასოფლო ბიუჯეტის განმტკიცების საქმეში სოფლის საზოგადოებრიობის ჩაბმის მიზნით—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:

1. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმებს—დაავალონ ფინანსთა სახალხო კომისარიატებსა და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს—სარაიონო და სასოფლო ბიუჯეტებს შორის შემოსავალ-გასავლის განაწილების დროს უზრუნველჰყონ სასოფლო ბიუჯეტების ძალოვანი ეკონომიური ბაზისის შექმნა, რისთვისაც მიიღონ მხედველობაში, რომ სასოფლო ბიუჯეტების საშემოსავლო ნაწილში აუცილებლად შეტანილ უნდა იქნეს შემდეგი შემოსავალი:

ა) სასოფლო ხასიათის არასაგადასახადო წყაროების ყველა შემოსავალი—მთლად;

ბ) ყველა შემოსული ადგილობრივი გადასახადი და გამოსაღები, რაც სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე იხდევინება;

გ) სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე შემოსული სახელმწიფო გადასახადების—სასოფლო-სამეურნეო გადასახადისა, კულტურული გადასახადისა, საშემოსავლო გადასახადისა და სარეწაო გადასახადის—არა ნაკლებ 50%-სა;

დ) საგლეხო სექტორში რეალიზებული ხუთწლედის მე-3 გადამწყვეტი წლის სესხის თანხების ანარიცხები—არა ნაკლებ 30%-სა;

ე) მოსახლეობის თვითდაბეგვრით მიღებული სახსარი—მთლად, გარდა იმ თანხებისა, რაც მისაქცევია სასოფელთაშორისო მნიშვნელობის მშენებლობაზე;

ვ) კოლექტიურ მეურნეობათა იმ საზოგადოებრივი ფონდების სახსარი, რასაც ისინი გამოჰყოფენ სოციალურ-კულტურული მშენებლობისათვის;

ზ) სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე შემოსული სადამზღვეო გადასახადების 10%-ი.

ამისდა შესაბამისად სასოფლო ბიუჯეტს უნდა გადაეცეს ყველა ხარჯი იმ დაწესებულებათა და საწარმოთა ხაზით, რომელნიც მომსახურეობას უწევენ ერთი სასოფლო საბჭოს ტერიტორიას. განსაკუთრებულ შემთხვევაში შაიძლება

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადაეცეს ცალკეულ სასოფლო ბიუჯეტს სასოფელთაშორისო მნიშვნელობის მქონე დაწესებულებათა და საწარმოთა შესანახი ხარჯები.

2. „1932 წელს სასოფლო ბიუჯეტების შთანერგვის შესახებ“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის 1931 წ. დეკემბრის 13-ის დადგენილების შესაბამისად—კამპანია სასოფლო ბიუჯეტების შედგენისათვის გადატანილ იქნეს უშუალოდ სასოფლო საბჭოებში და სასოფლო ბიუჯეტები განხილულ იქნეს სასოფლო საბჭოების გაფართოებულ პლენუმებზე, კოლმეურნეთა, ღარიბთა და მთელი ადგილობრივი საზოგადოებრიობის მონაწილეობით.

3. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობათ—დაავალონ სახელმწიფო საგეგმო კომისიებს, ფინანსთა სახალხო კომისარიატებს და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს—გაუწიონ ყოველმხრივი პრაქტიკული და თავისდროული დახმარება სასოფლო საბჭოებს სასოფლო ბიუჯეტის შედგენის საქმეში, რისთვისაც მიაწოდონ სასოფლო საბჭოებს საბოლოოდ დამუშავებული სამზომო ნორმები ხარჯებისა როგორც საგნობრივ, ისე ფასებრივ გამოსახვით; დაადგინონ დაწესებულებათა ქსელი, მათი შტატები, სამუშაო ხელფასის განაკვეთები, დაამტკიცონ მშენებლობის გეგმები და სხვ.

4. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობათ—გააძლიერონ მუშაობა სასოფლო საბჭოების საფინანსო მომუშავეებით უზრუნველყოფისათვის—აღნიშნულ მომუშავეთა მომზადებისა და გარდამზადების მოკლევადიანი კურსების შემდგომი განვითარებით.

5. წინადადება მიეცეს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებას—უზრუნველჰყოს ერთი თვის ვადაზე ნაციონალურ ენებზე და ეროვნულ უმცირესობათა ენებზე სასოფლო ბიუჯეტის შესახები პოპულარული ლიტერატურის გამოშვება და პირველ რიგში—სასოფლო ბიუჯეტის შედგენისა და აღსრულების სახელმძღვანელოს გამოცემა.

6. სასოფლო ბიუჯეტის რაც შეიძლება კარგად და წარმატებით აღსრულებისათვის—დაევალოს ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს და მის ადგილობრივ ორგანოებს—გაუწიონ სასოფლო საბჭოებს პრაქტიკული დახმარება და გააძლიერონ ცოცხალი ინსტრუქტაჟი სასოფლო ბიუჯეტის აღსრულებისა და ანგარიშგების ხაზით.

7. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს და სახელმწიფო საშრომო შემნახველ სალაროებისა და სახელმწიფო კრედიტის მთავარ სამმართველოს—უზრუნველჰყონ 1932 წ. განმავლობაში სასოფლო ბიუჯეტის საკასსო მომსახურეობის შემნახველი სალაროებისათვის გადაცემა—ისეთი ვარაუდით, რომ 1933 წ. იანვრის 1-თვის შემნახველმა სალაროებმა მოიცვან არა ნაკლებ მთლად სასოფლო ბიუჯეტების 50%-სა.

ამავე დროს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმების ყურადღება მიქცეულ იქნეს იმ გარემოებაზე, რომ საჭიროა ახლად გახსნილი და უკვე არსებული შემნახველი სალაროების სათანადო სადგომებით უზრუნველყოფა.

8. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმებს—დაავალონ სასოფლო საბჭოებს—განიხილონ ხოლმე სისტემატიურად, კვარტალში ერთხელ მაინც, სასოფლო საბჭოს ბიუჯეტის აღსრულების შედეგები სასოფლო საბჭოების პლენუმებზე, კოლმეურნეთა, ღარიბთა და მთლად სოფლის საზოგადოებრიობის ფართო მონაწილეობით.

9. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმებს—გააცოცხლონ სასოფლო სარევიზიო კომისიების საქმიანობა და ამით გააძლიერონ ნამდვილი საზოგადოებრივი კონტროლი სასოფლო ბიუჯეტების სავსებით და სისწორით აღსრულებისათვის; თანაც ფართოდ ჩააბან ამ მუშაობაში საბჭოთა მეურნეობებისა და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მუშები, კოლმეურნეები და ღარიბი მოსახლეობა; გამოიტანონ სარევიზიო კომისიების ანგარიშები სოფლის ყრილობებზე და კოლექტიური მეურნეობების კრებებზე; ამავე დროს დააკისრონ სარევიზიო კომისიებს პასუხისმგებლობა არა თავის დროზე გამოხმაურებისათვის სასოფლო ბიუჯეტების აღსრულებაში შემჩნეულ გარღვევების გამო.

10. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატს—მოახდინოს მიმდინარე წლის მე-III კვარტალში 1932 წლის სასოფლო ბიუჯეტების შედგენისა და აღსრულების ამორჩევითი გამოკვლევა და შედეგები მოახსენოს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს არა უგვიანეს მიმდინარე წლის ნოემბრისა.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **გ. სულთანოვი.**

1932 წ. მარტის 27.
ტფილისი.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

78. „ა/კსფსრ-ში საგაზაფხულო თესვის გაშლისათვის წარმოებული სასოფლო საბჭოების მუშაობის შემმოწმებელი მასსური ლაშქრობის თაობაზე“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილების აღსრულების მსვლელობის შესახებ.

მოისმინა-რა ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების ცნობა „ა/კსფსრ-ში საგაზაფხულო თესვის გაშლისათვის წარმოებული სასოფლო საბჭოების მუშაობის შემმოწმებელი მასსური ლაშქრობის თაობაზე“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულე-

ბელი კომიტეტის პრეზიდიუმის ა/წ. მარტის 5-ის დადგენილების აღსრულების მსვლელობის შესახებ,—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ თუმცა დირექტივა საგაზაფხულო თესვის კამპანიის სფეროში წარმოებული სასოფლო საბჭოების მუშაობის შემმოწმებელი მასსური ლაშქრობის ჩატარებისა და ადგილებზე პასუხისმგებელ მომუშავეთაგან შედგენილი ბრიგადების წარგზავნის შესახებ თავის დროზე იქნა გაცემული, მაინც ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმებმა და ა/კსფსრ-ის მთელმა რიგმა ორგანიზაციებმა არ გაშალეს საკმარისად სწრაფი ტემპები აღნიშნული ლაშქრობის მომზადებისა და ჩატარებისათვის.

ამიერკავკასიის უაღრესი მნიშვნელობის მქონე ორგანიზაციებმა—ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა, ა/კ. ტრაქტორცენტრმა და ა/კ. საკოლმეურნეო ცენტრმა, არ იხმარეს რეალური ღონისძიებანი ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის ზემოაღნიშნული დადგენილების (სასოფლო საბჭოების მუშაობის შემმოწმებელი მასსური ლაშქრობის შესახებ) აღსრულებისათვის, რაც იმის შედეგია, რომ აღნიშნულმა ორგანიზაციებმა სათანადოდ არ შეაფასეს ჩასატარებელი კამპანიის სამეურნეო-პოლიტიკური მნიშვნელობა.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის ზედმიწევნითი დირექტივის წინააღმდეგ, არც ცენტრალურმა პრესსამ, არც ადგილობრივმა არაუზრუნველჰყო კამპანიის მსვლელობის გაშუქება, არ მოაწყო რეიდები და არ იხმარა ღონისძიებანი სათანადო ორგანიზაციებისათვის დახმარების გასაწევად ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილების აღსრულების საქმეში.

ზემოხსენებულის მიხედვით—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:

1. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმებსა და ა/კსფსრ სათანადო სახალხო კომისარიატებსა და ორგანიზაციებს—იხმარონ ყველა ღონისძიება მუშაობის ტემპების გასაძლიერებლად სასოფლო საბჭოების მუშაობის შემმოწმებელი მასსური ლაშქრობის ჩატარების ხაზით და საგაზაფხულო თესვის თაობაზე გამოცემული მთავრობისა და პარტიის ყველა დადგენილების სოფლამდე, კოლმეურნეობამდე, საბჭოთა მეურნეობამდე, სამანქანო-სატრაქტორო სადგურამდე, ცალკეულ ბრიგადამდე და აღმასრულებლამდე, აგრეთვე ინდივიდუალურ ღარიბ და საშუალო მეურნეობამდე მიწვდენისათვის, რისთვისაც მოახდინონ მასსების ფართო მობილიზაცია აღნიშნულ დადგენილებათა საუკეთესოდ შესრულებისათვის.

2. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს—დაადვას გადასახდელი იმ პირთ, ვინც დამნაშავეა ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის ა/წ. მარტის 5-ის დადგენილების განხორციელების ჩაშლაში.

3. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, ა/კ. ტრაქტორცენტრს და ა/კ. საკოლმეურნეო ცენტრს, ამ ორგანიზაციების ხელმძღვანელთა პირადი პასუხისმგებლობით, დაუყოვნებლივ გასცენ დირექტივები თავიანთი ხაზით, რათა მათი ორგანიზაციების ყველა რგოლეული ჩაებას მასსურ ლაშქრობაში სასოფლო საბჭოების მუშაობის შემოწმებისათვის; თანაც თვალყური ადევნონ გაცემული დირექტივების ნამდვილად შესრულებას.

4. წინადადება მიეცეს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებას და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმებს—გამოიყენონ რაიონებში წარგზავნილი ბრიგადებისა და აგრეთვე გაზეთ „პრავდა"-ს დამკვრელთა სრულიად საკავშირო რეიდის მასალები, განაზოგადონ ეს მასალები და იხმარონ პრაქტიკული ღონისძიებანი მოწინავე რაიონების გამოცდის ჩამორჩენილ რაიონებში გადატანისათვის, წინ წასწიონ ეს რაიონები საზოგადოებრივი ბუქსირისა და სოციალისტური შეჯიბრების მოწყობით რაიონებსა და სასოფლო საბჭოებს შორის—საგაზაფხულო თესვის კამპანიის უკეთესად ჩატარებაზე.

5. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმებს—მოისმინონ არა უგვიანეს ამა წლის აპრილის 10-სა მთელი რიგი რაიონების მოხსენებანი მასსური ლაშქრობის ჩატარების შესახებ.

6. წინადადება მიეცეს ცენტრალური, რესპუბლიკანური და ადგილობრივი გაზეთების რედაქციებს—სისტემატიურად გააშუქონ ლაშქრობის მსვლელობა და ხელი შეუწყონ საბჭოებს ლაშქრობის უკეთესად ჩატარების საქმეში, ვინაიდან იგი ერთ-ერთი საშუალებაა მასსების მობილიზაციისათვის საგაზაფხულო თესვის კამპანიის წარმატებით ჩატარებისა და დამთავრების ამოცანათა გარშემო.

7. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმებს—მიაწოდონ ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს დეკადობითი ინფორმაცია ა/კსფსრ-ში საგაზაფხულო თესვის გაშლისათვის წარმოებული სასოფლო საბჭოების მუშაობის შემმოწმებელი მასსური ლაშქრობის ჩატარების შესახებ.

8. წინადადება მიეცეს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებას—შეიმუშაოს, ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკებისაგან მიღებული მასალების საფუძველზე, სათანადო ღონისძიებანი ჩამორჩენილი რაიონების გაძლიერებისა და მასსური ლაშქრობის პროცესში გამორკვეული შეცდომების გამოსწორებისათვის.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **გ. სულთანოვი.**

1932 წ. აპრილის 2.
ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

79. საჩივართა ბიუროს მუშაობის ხაზით სრულიად საკავშირო ხუთდღიურის ჩატარებაში საბჭოების მონაწილეობის შესახებ.

ვინაიდან მუშათა და გლეხთა ინსპექციის საჩივართა ბიუროს მუშაობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა აპარატში დახავსებულობასა, ბიუროკრატიზმსა და საქმის გაჭიანურებასთან ბრძოლისათვის და აგრეთვე ამ აპარატის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:

წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმებს—მიიღონ ფაქტიური მონაწილეობა საჩივართა ბიუროს მუშაობის ხაზით სრულიად საკავშირო ხუთდღიურის რაც შეიძლება უკეთესად ჩატარაბაში და ფართოდ ჩააბან ამ საქმეში საბჭოების დეპუტატთა ჯგუფები, სექციები და მუშათა და კოლმეურნეთა ფართო მასსები.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **გ. სულთანოვი.**

1932 წ. აპრილის 10.
ტფილისი.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

80. „სოიუზპტიცეპროდუქტ"-ის ამიერკავკასიის კონტორის ლიკვიდაციის შესახებ.

ფრინველის პროდუქტების დამზადების, გადამუშავების და მომარაგების ხელმძღვანელობის გამარტივებისა და ამ მუშაობის ერთ ორგანიზაციაში თავმოყრის მიზნით—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო, „ა/კსფსრ-ში დამმზადებელი სისტემის რეორგანიზაციის შესახებ" გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1932 წ. მარტის 8 ის დადგენილების (ა/კსფსრ კანონ. კრებ. 1932 წ. მე-6 №-ი, მუხ. 48) მე-6 მუხლის „ი" პუნქტის გასაუქმებლად და მე-7 მუხლის ნაწილობრივ შესაცვლელად,—ადგენს:

1. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ მომარაგების სახალხო კომისარიატს—მოახდინოს „სოიუზპტიცეპროდუქტ"-ის ამიერკავკასიის კონტორის ლიკვიდაცია და

ეროვნული ბიბლიოთეკა

გააუქმოს ამ კონტორის წარმომადგენლობა ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებში.

2. „პტიცეპროდუქტ"-ის გამგებლობაში ქონებული ყველა მომქმედი და აგრეთვე შენებაში მყოფი კვერცხის საწყობები, საფრინველოები, საკვებაები, კომბინატები, მთელი ინვენტარი, ტარა, გაწყობილობა, სატეხნიკო პერსონალი და მუშა-ძალა გადაეცეს სამომხმარებლო სისტემის რესპუბლიკანურ საკვერცხ-ფრინველო შენაერთებს.

3. გადაეცეს სამომხმარებლო სისტემას სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის იმ ქვედა ორგანიზაციების აპარატი, რომელნიც მუშაობენ კვერცხისა და ფრინველის დამზადებაზე და ყველა ის ხელშეკრულება, რაც ამ აპარატის მიერ დადებულია ფრინველის პროდუქტების კონტრაქტაციისათვის.

4. გადაცემა უნდა მოხდეს მუშაობის დენის დროს და დამზადებათა მსვლელობა არ უნდა იქნეს მინელებული.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ა. შავერდოვი.**

1932 წ. აპრილის 3.
№ 473.
ტფილისი.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

81. ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებული სასტანდარტიზაციო კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნეს ქვემომდევნო დებულება ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებული სასტანდარტიზაციო კომიტეტის შესახებ.

2. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბქოს 1929 წ. ნოემბრის 14-ის დადგენილება „ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებული სასტანდარტიზაციო ბიუროს დებულების დამტკიცების შესახებ" და თვით დებულებაც (ა/კსფსრ კან. კრ. 1929 წ. 21 №-ი, მუხ. 210) გაუქმებულ იქნეს.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ა. შავერდოვი.**

1932 წ. აპრილის 3.
ტფილისი.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებული სასტანდარტიზაციო კომიტეტის შესახებ.

1. სასტანდარტიზაციო კომიტეტი არსებობს ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან და უმაღლესი ორგანოა სტანდარტიზაციისა; მის ამოცანას შეადგენს გააერთიანოს და ხელმძღვანელობა გაუწიოს სასტანდარტიზაციო და სამეტროლოგიო სამუშაოებს ა/კსფსრ ტერიტორიაზე.

2. ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებული სასტანდარტიზაციო კომიტეტი მუშაობს ა/კსფსრ უმაღლესი ეკონომიური საბჭოს საერთო ხელმძღვანელობით, შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებული სრულიად საკავშირო სასტანდარტიზაციო კომიტეტის მიერ მიცემული საგეგმო და მეთოდოლოგიური დირექტივების საფუძველზე.

3. ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებულ სასტანდარტიზაციო კომიტეტს ექვემდებარებიან ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სასტანდარტიზაციო ბიუროები, რომლებიც ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებული სასტანდარტიზაციო კომიტეტის ოპერატიული ორგანოებია საერთო-საკავშირო სტანდარტებისა და რესპუბლიკანური სასტანდარტო წესების შთანერგვისა და შესრულებისათვის კონტროლის გაწევის ხაზით და აგრეთვე საზომთა და სამზომო ხელსაწყოთა სისწორისა და მდგომარეობისათვის სისტემატიური კონტროლისა და ზედამხედველობის გაწევის ხაზით.

4. აღნიშნული ამოცანების განხორციელებისათვის ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებულ სასტანდარტიზაციო კომიტეტს ეკისრება:

ა) მოაწყოს სასტანდარტიზაციო ბიუროები საქართველოს სსრ-სა, აზერბაიჯანის სსრ-სა და სომხეთის სსრ-ში და ხელმძღვანელობა გაუწიოს მათ;

ბ) შეადგინოს ა/კსფსრ სასტანდარტიზაციო კომიტეტისა და რესპუბლიკების სასტანდარტიზაციო ბიუროების სამუშაოთა საპერსპექტივო და წლიური გეგმები და წარადგინოს ჯუმლობითი გეგმა დასამტკიცებლად არსებული წესისამებრ;

გ) გაუწიოს საერთო ხელმძღვანელობა და კონტროლი სასტანდარტიზაციო და მეტროლოგიურ სამუშაოებს, რასაც ანხორციელებს ა/კსფსრ ტერიტორიაზე მყოფი როგორც საერთო-საკავშირო, ისე ფედერატიული, რესპუბლიკანური და ადგილობრივი მნიშვნელობის მქონე ყველა დაწესებულება, ორგანიზაცია და საწარმო; აგრეთვე დაამტკიცოს ამ დაწესებულებათა, ორგანიზაციათა და საწარმოთა სამუშაოების გეგმები საერთო-საკავშირო გეგმებისა და შრომის და თავდაცვის საბჭოსთან არსებული სრულიად საკავშირო სასტანდარტიზაციო კომიტეტის ცალკეული დავალებების შესაბამისად;

დ) გაუწიოს კონტროლი ა/კსფსრ ტერიტორიაზე მყოფ ყველა დაწესებულებას, ორგანიზაციას და საწარმოს საერთო-საკავშირო სტანდარტებისა და რესპუბლიკანური სასტანდარტო წესების შთანერგვისა და შესრულების ხაზით და ზედამხედველობა მათვე საზომთა და საკონტროლო-სამზომო ხელსაწყოთა სისწორის და მდგომარეობის ხაზით;

ე) იქონიოს განსაკუთრებული უფლება დაამტკიცოს და გამოსცეს, ა/კსფსრ კლიმატიურ და სეისმოლოგიურ თავისებურებათა შესაბამისად, რესპუბლიკანური სასტანდარტო წესები და სამშენებლო პროექტირების რესპუბლიკანური ნორმები, როდესაც არ არსებობს საამისო საერთო-საკავშირო სტანდარტები;

შენიშვნა. სასტანდარტო წესებისა და სამშენებლო პროექტირების ნორმების მოქმედება ისპობა იმ ვადის გასვლისას, რა ვადითაც ეს წესები და ნორმებია დამტკიცებული, ან სათანადო საერთო-საკავშირო სტანდარტების და სამშენებლო პროექტირების ნორმების შემოღებისათანავე;

ვ) თვალყური ადევნოს უწყებათა და საწარმოთა საწარმოო-საფინანსო გეგმაში იმ საორგანიზაციო-საფინანსო და ტეხნიკურ-ეკონომიური ღონისძიებების მოთავსებას, რაც უზრუნველჰყოფს საერთო-საკავშირო სტანდარტებისა, სასტანდარტო წესებისა და სამშენებლო პროექტირების ნორმების შემუშავებას, შთანეოგვას და აღსრულებას;

ზ) შეიმუშაოს და წარუდგინოს შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებულ სრულიად საკავშირო სასტანდარტიზაციო კომიტეტს, მის მიერ დამტკიცებული გეგმების შესაბამისად, საერთო-საკავშირო სტანდარტების პროექტები; მისცეს დასკვნები სხვა ორგანიზაციების მიერ შემუშავებული საერთო-საკავშირო სტანდარტების შესახებ;

შენიშვნა. საერთო-საკავშირო სტანდარტების პროექტების თაობაზე დასკვნის მიცემისათვის ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებულ სასტანდარტიზაციო კომიტეტს უფლება აქვს ჩააბას თავის მუშაობაში სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტები და პერსონალურად ცალკეული სპეციალისტები;

თ) გაუწიოს ზედამხედველობა ა/კსფსრ ტერიტორიაზე სახმარებელ საზომთა და სამზომო ხელსაწყოთა მდგომარეობას;

ი) თვალყური ადევნოს სასტანდარტიზაციო სამუშაოთა გეგმის აღსრულებას ყველა სახელმწიფო, კოოპერატიული და საზოგადოებრივი დაწესებულების და ორგანიზაციისა და აგრეთვე სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის მიერ;

კ) მოამზადოს და გარდაამზადოს მომუშავეები სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის ხაზით;

ლ) მოაწყოს ყრილობები და კონფერენციები სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის საკითხებისათვის და მონაწილეობა მიიღოს სრულიად საკავშირო ყრილობებსა და კონფერენციებში;

მ) გამოსცეს ნაშრომები, ანგარიშები და სხვა მასალები სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის საკითხებზე, საერთო-საკავშირო სტანდარტებისა და სამშენებლო პროექტირების საერთო-საკავშირო ნორმების გარდა.

შენიშვნა. საერთო-საკავშირო სტანდარტებისა და სამშენებლო პროექტირების ერთიანი ნორმების ხელახლად გამოცემა შეიძლება მხოლოდ შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებული სრულიად საკავშირო სასტანდარტიზაციო კომიტეტის ნებართვით. საჭირო შემთხვევაში საერთო-საკავშირო სტანდარტებისა და სამშენებლო პროექტირების ერთიანი ნორ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მების თარგმნას ნაციონალურ ენებზე ანხორციელებს ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებული სასტანდარტიზაციო კომიტეტი.

5. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებში სასტანდარტიზაციო ბიუროების მოქმედება რეგულირდება ამ ბიუროების განსაკუთრებული დებულებებით, რასაც ამტკიცებენ რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოები ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებულ სასტანდარტიზაციო კომიტეტთან შეთანხმებით.

6. ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებულ სასტანდარტიზაციო კომიტეტს უფლება აქვს—მისცეს ამიერკავკასიის და რესპუბლიკანურ დაწესებულებებს, სამეურნეო ორგანიზაციებს და საკვლევო ინსტიტუტებს თავისი კომპეტენციის შესაბამისი დავალებანი, რაც მათთვის სავალდებულოა.

7. ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებული სასტანდარტიზაციო კომიტეტი გამოსცემს დადგენილებებს, რაც სავალდებულოა ა/კსფსრ ტერიტორიაზე ყველა სახელმწიფო, კოოპერატიული და საზოგადოებრივი დაწესებულებისა, ორგანიზაციისა და კერძო პირისათვის, შემდეგ საკითხებზე:

ა) რესპუბლიკანური სასტანდარტო წესებისა და სამშენებლო პროექტირების ნორმების დადგენის შესახებ;

ბ) საზომთა და სამზომო ხელსაწყოთა შენახვისა და გამოყენების შესახებ შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებული სრულიად საკავშირო სასტანდარტიზაციო კომიტეტის მიერ გამოცემული დადგენილებებისა და ინსტრუქციების შესაბამისად;

გ) ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან საექსპერტიზო ბიუროს და რესპუბლიკანურ სასტანდარტიზაციო ბიუროებთან საკონტროლო-საექსპერტო კამერების მოწყობისა და მოქმედების წესის შესახებ;

დ) სარაიონოთაშორისო სასტანდარტიზაციო ბიუროებისა და მათი განყოფილებების გახსნის შესახებ.

8. ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებულ სასტანდარტიზაციო კომიტეტს უფლება აქვს მოაწყოს დამხმარე დაწესებულებები, ლაბორატორიები და ექსპერიმენტალური სახელოსნოები განსახილველად და დასამტკიცებლად წარდგენილი სტანდარტებისა და სასტანდარტო წესებისა და სამზომო და საკონტროლო ხელსაწყოების შემოწმებისათვის; აგრეთვე მოაწყოს ნიმუშების კაბინეტები, მუზეუმები, გამოფენები, ლექციები და დემონსტრაციები და კონკურსები სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის საკითხებისათვის.

9. ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებულ სასტანდარტიზაციო კომიტეტს შეადგენენ თავმჯდომარე, მოადგილე და 5 წევრი კომიტეტისა, რომელთაც ნიშნავს ა/კსფსრ უმაღლესი ეკონომიური საბჭო. ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებული სასტანდარტიზაციო კომიტეტის თავმჯდომარეს აქვს სათათბირო ხმის უფლება ა/კსფსრ უმაღლესი ეკონომიური საბჭოს სხდომებზე.

10. ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებული სასტანდარტიზაციო კომიტეტისა და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებში არსებული მისი სასტანდარტიზაციო ბიუროების შესანახი ხარჯი ეკუთვნის ამიერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კავკასიის ბიუჯეტს და გატარებულ უნდა იქნეს ა/კსფსრ უმაღლესი ეკონომიური საბჭოს ხარჯთაღრიცხვაში; კომიტეტის თავმჯდომარეს უფლება აქვს განკარგოს კრედიტები.

11. ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებულ სასტანდარტიზაციო კომიტეტს უფლება აქვს:

ა) განკარგოს, დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვების ფარგლებში, კომიტეტის სახსარი;

ბ) გახსნას, ა/კსფსრ უმაღლესი ეკონომიური საბჭოს ნებართვით, სათანადო ლაბორატორიები და სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტები;

გ) შეიძინოს ქონება თავისი სახსარის ფარგლებში და გაასხვისოს ქონება კანონით დადგენილი წესისამებრ; დასდვას ყოველგვარი ხელშეკრულება და გარიგება, რაც დაკავშირებულია კომიტეტისათვის დაკისრებული ამოცანების აღსრულებასთან; გახსნას მიმდინარე ანგარიშები, ხელი მოაწეროს ჩეკებს და მიიღოს ფული, გასცეს რწმუნებულობა, ისარჩელოს და პასუხი აგოს სასამართლოში.

12. ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებულ სასტანდარტიზაციო კომიტეტს უცხოეთიდან სამეცნიერო და სატეხნიკო წიგნების და ჟურნალებისა, ხელსაწყოებისა, ინსტრუმენტებისა და მასალების შემოზიდვის ხაზით აქვს ყველა ის უფლება და შეღავათი, რაც უმაღლეს სამეცნიერო დაწესებულებას.

13. ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებულ სასტანდარტიზაციო კომიტეტს აქვს ბეჭედი სახელმწიფო ღერბის გამოსახულობით და თავისი სახელწოდებით.

14. სასტანდარტიზაციო კომიტეტს უფლება აქვს იქონიოს, არსებული კანონების თანახმად, სპეციალური სახსარი, მისი საკონტროლო და შემოწმების მოქმედებით მოპოებული.

შენიშვნა. მთლად სპეციალური სახსარის 10%-ი შედის შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებული სრულიად საკავშირო სასტანდარტიზაციო კომიტეტის განკარგულებაში, ხოლო 90%-ს ხარჯავენ ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოსთან არსებული სასტანდარტიზაციო კომიტეტი და მისი სასტანდარტიზაციო ბიუროები რესპუბლიკებში ლაბორატორიებისა და სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტების გაფართოებაზე სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის ხაზით.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

82. 1932 წლის მოსავლის ბამბის კონტრაქტაციის ვადის შეცვლის შესახებ.

„1932 წლის მოსავლის ბამბის კონტრაქტაციის ვადის შეცვლის შესახებ“ გამოცემული შრომისა და თავდაცვის საბჭოს 1932 წ. მარტის 27-ის დადგენილების შესაბამისად—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო, „1932 წლისთვის ბამბის კონტრაქტაციის შესახებ“ გამოცემული თავისი 1932 წ. თებერვლის 21-ის დადგენილების („ზარია ვოსტოკა“-ს მე-14 №-ი 1932 წ. თებერვლის 22-სა) მე-4 მუხლის ნაწილობრივ შესაცვლელად,—ადგენს:

1. 1932 წლის მოსავლის ბამბის კონტრაქტაციის დამთავრების ზღვრულ ვადად დადგენილ იქნეს 1932 წ. აპრილის 10.

2. დადგენილება ესე შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ ტელეგრაფით.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ა. შავერდოვი.**

1932 წ. აპრილის 4.
№ 472.
ტფილისი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს მე-80 №-ში 1932 წ. აპრილის 5-ს.

დადგენილება ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

83. ღორის ტყავის შენახვისა და ღორის ფარულად დაკვლის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ღორის ტყავის და ჯაგარის შენახვის მიზნით და აგრეთვე ღორის ფარულაო დაკვლის წინააღმდეგ საბრძოლველად საჭიროდ იქნეს ცნობილი შემდეგი:

1. როგორც პირადი საჭიროებისა, ისე გასაყიდად დასაკლავი ღორების (სსრკ კომისართა საბჭოს დადგენილება „მეღორეობის განვითარების შესახებ“—სსრკ კან. კრ. 2932 წ. მე-6 №-ი, მუხ- 38) დაკვლა უნდა სწარმოებდეს მხოლოდ სასაკლაოზე და სასაკლაო მოედანზე და ამ წესის გარეშე ღორების დაკვლა აკრძალულ იქნეს.

შენიშვნა. სოფლად პირადი საჭიროებისათვის ღორების დაკვლა სასაკლაოზე ან სასაკლაო პუნქტებზე სავალდებულო არ არის.

2. ღორების დაკვლის დროს ლეშის გაფუფქვა და გატრუსვა აიკრძალოს და შემოღებულ იქნეს აუცილებლად გატყავება; ამასთანავე, ტყავი და ჯაგარი უნდა გადაეცეს დამმზადებელ ორგანიზაციას დადგენილ ფასად.

3. უკეთუ იმ ადგილას, სადაც სასაკლაო და სასაკლაო მოედანია, აღმოჩენილ იქნა ღორის ფარულად დაკვლა, ლეში ტყავით და ჯაგრით კონფისკიბულ უნდა იქნეს და გადაეცეს ხორცით მოსახლეობის მომმარაგებელ და ნედლეულის დამმზადებელ ორგანოს, ხოლო ფარულად დაკვლაში დამნაშავე პირს დაედვას ადმინისტრატიული გადასახდელი კანონით დადგენილ ფარგლებში, და ის პირი, ვინც ფარულად დაკლული ღორის ხორცის ვაჭრობას ეწევა, საველტერინარო-სასანიტარო ზედამხედველობის შტემპელის დაუსმელად, მიცემულ უნდა იქნეს პასუხისგებაში სისხლის სამართლის წესით.

შენიშვნა. ამა მუხლის მოქმედება არა ვრცელდება 1-ლი მუხლის შენიშვნაში აღნიშნულ შემთხვევაზე.

4. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს—დააწესონ დაპრემირება ფარულად ღორების დაკვლის აღმოჩენისათვის იმ ადგილებში, სადაც სასაკლაოებია და სასაკლაო მოედნები, და აგრეთვე დაავალონ საქალაქო საბჭოებსა და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს—გამოსცენ სავალდებულო დადგენილებანი: ა) მე-2 მუხლში აღნიშნული წესების დარღვევისათვის ადმინისტრატიული გადასახდელის დადების შესახებ და ბ) ა/კსფსრ ტერიტორიაზე, ყველგან, არაგადამდები სენისაგან გამწყდარი ღორების ტყავიანად მიწაში ჩაფლის აკრძალვის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ს. ტერ-გაბრიელიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ა. შავერდოვი.**

1932 წ. მარტის 3.
ფტილისი.

მთავლიტი № 1600. საქ. სახკომსაბჭოს სტამბა. დაკვ. 991. ტირაჟი 1.400